

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
საჭიროებისათვის (საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა)
საკანცელარიო ნივთების შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის სხდომის

ო კ მ ი №3

ქ. თბილისი

03.02.2012წ.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი ჟღენტი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე. (არ ესწრებოდა სხდომას, იმყოფება კუთვნილ
შვებულებაში).

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის წევრები:

ალექსანდრე აპლაკოვი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
მინისტრის პირველი მოადგილე;

კახაბერ ჩხარტიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი (არ ესწრებოდა
სხდომას საპატიო მიზეზის გამო);

ილონა გრიგოლია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის იურიდიული,
საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველოს უფროსი;

ვიანორ შელია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის მატერიალურ-
ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

სატენდერო აპარატის წევრები:

ლელა კიკალეიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი.

მანანა ჭყუია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის საბიუჯეტო-საფინანსო სამმართველოს
მთავარი სპეციალისტი (არ ესწრებოდა სხდომას, იმყოფება კუთვნილ შვებულებაში);

დღის წესრიგი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
საჭიროებისათვის (SPA 120002907) (საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის

გარდა) საკანცელარიო ნივთების შეძენის მიზნით გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების განხილვა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრის ალექსანდრე ალაკოვის გამოსვლამ, რომელმაც სატენდერო კომისიას აცნობა, რომ შპს „ფორმატი“-ს მიერ 2012 წლის 03 თებერვალს წარმოდგენილ იქნა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან.

ბ) ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ მიმდინარეობს შპს „ფორმატი“-ს რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია და გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

განიხილეს:

კომისიამ განიხილა შპს „ფორმატი“-ს მიერ წარმოდგენილი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები: აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემდგომ, არ შეიცავს არანაირ ხარვეზს და სრულად აკამაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შემსყიდველის მოთხოვნებს.

დაადგინეს:

1. არსებული მონაცემების საფუძველზე, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს „ფორმატი“.
2. ეცნობოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს და მოწვეულ იქნას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.
3. სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-15 მუხლის საფუძველზე გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
4. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს წინამდებარე ოქმის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის წევრები:

/ ა. ალაკოვი /

Handwritten signatures in purple ink.

/ ი. გრიგოლია /

/ ვ. შელია /

კომისიის აპარატის წევრები:

Handwritten signature in purple ink.

/ ლ. კვიციანიძე /